

ვაკანსიის N 43072

თანამდებობის დასახელება	სერტიფიცირებისა და პროექტების მართვის განყოფილების სპეციალისტი (II კატეგორია)
დამსაქმებელი	სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
კატეგორია	პროექტების მართვა
განცხადების ნარდგენის ბოლო ვადა	28.05.2017
თანამდებობრივი სარგო	1150 ლარი
ადგილების რაოდენობა	2
სამსახურის ადგილმდებარეობა	თბილისი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	6 თვე

ფუნქციები

- ა) კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს სწავლების ცენტრის სამოქმედო გეგმის შესრულებას;
- ბ) სწავლების ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით უზრუნველყოფს პროექტების ინიცირებას, მათ შორის, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე;
- გ) უზრუნველყოფს სწავლების ცენტრის კომუნიკაციას საზოგადოებასთან, მედიასთან, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან;
- დ) ამზადებს პრეს-რელიზებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის განთავსებას სწავლების ცენტრის ვებ-გვერდზე;
- ე) უზრუნველყოფს სწავლების ცენტრის ვებ-გვერდის მართვასა და მის განახლებას, მათ შორის, სოციალურ ქსელებში;
- ვ) საჭიროების შემთხვევაში, კოორდინაციას უწევს სწავლების ცენტრის საერთაშორისო ურთიერთობებს სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან, სწავლების ცენტრებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან;
- ზ) საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზებას უწევს და უზრუნველყოფს სწავლების ცენტრის წარმომადგენლების ვიზიტებს საზღვარგარეთ;
- თ) საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზებას უწევს უცხოური დელეგაციების ვიზიტებს სწავლების ცენტრში;
- ი) ახორციელებს საგრანტო კონკურსის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;
- კ) ახორციელებს საგრანტო კონკურსის საფუძველზე დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს და ამზადებს ანგარიშს;
- ლ) ახორციელებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას;
- მ) უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდისთვის ტესტების მომზადებას და სამართლებრივი ექსპერტიზისთვის წარდგენას;
- ნ) აწარმოებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მფლობელ პირთა მონაცემთა ბაზას;
- ო) ამზადებს დასკვნებს სერტიფიკატის შეცვლის ან აღდგენის შესახებ შემოსულ განცხადებებთან დაკავშირებით და წარადგენს სამართლებრივი ექსპერტიზისთვის;
- პ) კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს წერილების პროექტებს, ასევე საპასუხო წერილების პროექტებს სწავლების ცენტრში შემოსულ წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე;
- ჟ) სწავლების ცენტრის ვებ-გვერდზე პროაქტიული გამოქვეყნების მიზნით, უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის მომზადებას, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას;
- რ) მოთხოვნის შესაბამისად, ამზადებს ანგარიშს განუვლი საქმიანობის შესახებ;
- ს) ასრულებს სწავლების ცენტრის დირექტორისა და განყოფილების უფროსის სხვა დავალებებს.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	ბაკალავრი
სამუშაო გამოცდილება	2 წელი
სასურველი ასაკი -დან	21

საკონკურსო თემატიკა

- <p>ა) საქართველოს კონსტიტუცია;</p>

<p>ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;</p>

<p>გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;</p>

<p>დ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულება“;</p>
 <p>ე) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 9 მარტის №13/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების დებულება“.</p>

ენები

ენა ქართული	წერიტი უნარები ძალიან კარგი	მეტყველება ძალიან კარგი
-------------	-----------------------------	-------------------------

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის მისამართი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ.
საკონტაქტო ტელეფონები	2 61 21 11 (14)
საკონტაქტო პირი	დავით მაკარიძე

დამატებითი მოთხოვნები

აუცილებელი მოთხოვნები:

- ა) უმაღლესი განათლება - ბაკალავრის ან კანონმდებლობის შესაბამისად, ბაკალავრთან გათანაბრებული ხარისხი;
- ბ) მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება;
- გ) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

აუცილებელი უნარ-ჩვევები:

- ა) ზეპირი კომუნიკაციისა და წერიტი უნარები;
- ბ) ორგანიზატორული უნარ-ჩვევები;
- გ) შემოქმედებითი და ანალიტიკური უნარები;
- დ) სტრუქტურულ სიტუაციებში მუშაობის უნარი;
- ე) დროის ეფექტიანად განაწილების უნარი;
- ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook).

სასურველი მოთხოვნები:

- ა) მაგისტრის ან კანონმდებლობის შესაბამისად, მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი;
- ბ) პროექტების მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება;
- გ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში მუშაობის გამოცდილება;
- დ) საარჩევნო ადმინისტრაციაში ან/და საარჩევნო სფეროში მუშაობის გამოცდილება;
- ე) საჯარო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება;
- ვ) ინგლისური ენის ცოდნა;
- ზ) რუსული ენის ცოდნა.

დამატებითი ინფორმაცია

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, კონკურსის გამოცხადების დღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უნდა გაიარონ რეგისტრაცია და გამოაგზავნონ განცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე: <http://www.hr.gov.ge>

კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ განაცხადი ერთდროულად შემოიტანონ სწავლების ცენტრის მიერ გამოცხადებულ არა უმეტეს 5 ვაკანსიაზე. აღნიშნული მოთხოვნის დაუცველობის შემთხვევაში, კომისია უარს განუცხადებს კანდიდატს დასანიშნად წარდგენაზე ყველა ვაკანტურ თანამდებობასთან მიმართებაში.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა პირებმა განცხადების შევსების დროს უნდა ატვირთონ და გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- უმაღლესი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ასლი (იტვირთება დამატებითი დოკუმენტაციის ბლოკში);
- სამოტივაციო წერილი.

კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შეფასების მიზნებისთვის მნიშვნელოვანია, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა პირებმა განცხადების შევსების დროს ატვირთონ და გამოაგზავნონ კანდიდატების მიმართ დადგენილ სასურველ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

კანდიდატების მიმართ დადგენილი აუცილებელი უნარ-ჩვევების შემოწმება განხორციელდება გასაუბრების ეტაპზე.

განცხადების გადარჩევის ეტაპის შედეგების, გასაუბრების ჩატარების ადგილის, თარიღისა და დროის, გასაუბრების ეტაპის შედეგების შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (<http://www.hr.gov.ge>) მეშვეობით.

გადანწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადანწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. გადანწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა. სამდივნო გადანწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (<http://www.hr.gov.ge>) მეშვეობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილ გადანწყვეტილებას. კომისიის მიერ საბოლოო გადანწყვეტილების მიღების ბოლო ვადაა 2017 წლის 30 ივნისი.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება

სავალდებულო ბლოკები

პირადი ინფორმაცია

სამუშაო გამოცდილება

ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

განათლება კვალიფიკაცია

ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

სამოტივაციო წერილი

დამატებითი დოკუმენტაცია